ხელშეკრულება N 61
სახელმწიფო შესყიდვების შესახება

ერთის მხრივ შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორი ლევან სილაგაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავერსის კლინიკა" (ს/კ 212002580) (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით, ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტვებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: საფეხბურთო კლუბ სიონის ფეხბურთელის სარეაბილიტაციო მომსახურების შესყიდვა (CPV 85300000);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება 350 (სამას ორმოცდაათი) ლარს, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით,ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.
4.4 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტს.
5.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კლუბის ექიმი გოჩა ჩაკვეტაძე.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას განახორციელებს ხელშეკრულების 2022 წლის 1 ივნისამდე ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟაფშაველას გამზ., №27ბ .

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.
ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.
გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებითაღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარესდაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითიფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აგვისტომდე.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი:
შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" (ს/კ: 225376189) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ბოლნისი. სს. ორბელიანის ქ. №99. სს "საქართველოს ბანკი, ბ/კ BAGAGE22. ა/N GE23BJ0000000131440731.

მიმწოდებელი: შპს „ავერსის კლინიკა" (ს/კ 212002580) ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟაფშაველას გამზ., №27ბ. სს "საქართველოს ბანკი, ბ/კ BAGAGE22. ა/N GE05B0000000170821600.

შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი"
დირექტორი
ლევან სილაგაძე

შპს „ავერსის კლინიკა"
დირექტორი
დიმიტრი ჯორბენაძე

LLC Aversi Clinic
Digitally signed by LLC Aversi Clinic
Date: 2022.05.24 16:08:20 +04'00'

დანართი 1

გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი

#	მომსახურეობის მიმღები	მომსახურეობის დასახელება	მანიპულაციის რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	თომა ტაბატაძე	მუხლის მაგნიტურ-რეზონანსური გამოკვლევა	1	350	350

შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი"
დირექტორი
ლევან სილაგაძე

LTD "Football Club "Sioni"
Digitally signed by LTD "Football Club "Sioni"
Date: 2022.05.24 17:04:26 +04'00'

შპს „ავერსის კლინიკა"
დირექტორი
დიმიტრი ჯორბენაძე

LLC Aversi Clinic
Digitally signed by LLC Aversi Clinic
Date: 2022.05.24 16:08:43 +04'00'